




ავტორები: თორნიკე სურგულაძე და დავით კუშელავა

## დეკორიტიები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, საქონლით ვაჭრობა და ფულადი გზავნილები: 2024 წლის საქართველოს აპრილის მშპ-ის პროგნოზის ძირითადი განმარტობები

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2024 წლის პირველი და მეორე კვარტლებისთვის. წარმოგიდგენთ ამ თვის მიგნებებს.

### ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2024 წლის თებერვლის მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა. აღნიშნული შეფასებით, მშპ 9.5%-ით გაიზარდა.
- საქსტატის მშპ-ის მაჩვენებლის გამოთვლის მეთოდოლოგიის ცვლილების შედეგად, დეკემბრის კორექტირებულ მონაცემებში წინა თვის მაჩვენებლებთან შედარებით ზრდის ტენდენცია ფიქსირდება. შესაბამისად, ჩვენი მშპ-ის ზრდის პროგნოზიც აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დაკორექტირდა.



- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზით, 2024 წლის პირველ კვარტალში მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელი 10.4% იქნება, 2024-ის მეორე კვარტალში კი – 9.8%.
- თებერვლის მონაცემებზე დაყრდნობით, 2024 წელს, ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაში, მოსალოდნელია წლიური 7.8%-იანი ზრდა, ხოლო საუკეთესი ან საშუალო, გრძელვადიანი ზრდის სცენარების შემთხვევაში – 9.4%. ჩვენი შუალედური პროგნოზის თანახმად (უკანასკნელი ოთხი კვარტლის საშუალო ზრდის მაჩვენებელზე დაყრდნობით), მოსალოდნელია მშპ-ის რეალური ზრდა 8.9%-ით.
- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზი 2024 წელს ეკონომიკური ზრდის შესახებ შესაძლოა ზედმეტად ოპტიმისტური იყოს. ჩვენ მიერ გამოყენებული მოდელი შესაძლოა სრულად არ ასახავდეს უკრაინაში მიმდინარე ომის, ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტისა და სხვა გეოპოლიტიკური ფაქტორების უარყოფით ზეგავლენას.

### ცვლადები, რომლებზე დაყრდნობითაც განისაზღვრება თებერვლის მშპ-ის ზრდის პროგნოზი:

**დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.** ცვლადების პირველი ჯგუფი, რომელმაც გარკვეული გავლენა იქონია ჩვენს პროგნოზზე, კომერციულ ბანკებში არსებული ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა იყო. ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა ყველა კატეგორიის დეპოზიტმა წლიური ზრდა განიცადა. კერძოდ, ეროვნულ ვალუტაში მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიური 26.9%-ით, ხოლო ვადიანი დეპოზიტები წლიური 30.4%-ით გაიზარდა. **შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები წლიური 28.1%-ით გაიზარდა.** საერთო ჯამში, *ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მცირე დადებითი გავლენა ჰქონდა.*

ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებთან შედარებით, **უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, ზომიერი, 5.9%-იანი ზრდა განიცადა.** ამავდროულად, უცხოურ ვალუტაში მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიურ ჭრილში 5.6%-ით შემცირდა. მეორე მხრივ, უცხოურ ვალუტაში ვადიანი დეპოზიტები წლიური 23.7%-ით გაიზარდა. *მთლიანობაში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს დადებითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

**საქონლით ვაჭრობა.** თებერვალში საქართველოს ექსპორტი წლიური 2%-ით გაიზარდა. ზრდის ამ დაბალ ტემპზე ძირითადად გავლენა იქონია სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტ/რეექსპორტის მნიშვნელოვანმა შემცირებამ, რომელიც წინა წელთან შედარებით 99.9%-ით შემცირდა. ამავდროულად, გაიზარდა ავტომობილების (წლიური 13.6%-ით) და ყურძნის ნატურალური ღვინოების (წლიური 58.9%-ით) ექსპორტი/რეექსპორტი.

ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი 9.1%-ით გაიზარდა, რაც უმეტესად საწვავისა და ნავთობპროდუქტების (40.47%) გაზრდილმა იმპორტმა/რეიმპორტმა განაპირობა. აღნიშნულის საპირისპიროდ, შემცირდა ავტომობილების (13.7%-ით), აირების და სხვა თხევადი ნახშირწყალბადის



(30.4%-ით ზრდა) და დაფასოებული მედიკამენტების (10.9%-ით ზრდა) იმპორტი/რეიმპორტი. შედეგად, საგარეო სავაჭრო დეფიციტი წლიური 14.4%-ით გაიზარდა და 701 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მთლიანობაში, ვაჭრობასთან დაკავშირებულ ცვლადებს მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მცირე დადებითი გავლენა ჰქონდა.

**ფულადი გზავნილები.** თებერვალში ფულადი გზავნილები წლიურად 29%-ით შემცირდა და 264.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღნიშნული შემცირების მთავარი მიზეზი რუსეთის ფედერაციიდან (შემცირდა წლიური 70.8%, -35.6 პროცენტული პუნქტი), ყაზახეთიდან (შემცირდა 18.4%, -0.6 პროცენტული პუნქტი) და თურქეთიდან (შემცირდა 11.8%, -0.3 პროცენტული პუნქტი) შემოსული ფულადი გზავნილების შემცირება იყო. ამის საპირისპიროდ, გაიზარდა გზავნილების რიცხვი ამერიკის შეერთებული შტატებიდან (წლიურ 35.3%-მდე, 2.9 პროცენტული პუნქტით), იტალიიდან (წლიურ 13%-მდე, 1.4 პროცენტული პუნქტით), გერმანიიდან (წლიურ 23.3%-მდე, 0.9 პროცენტული პუნქტით), საბერძნეთიდან (წლიურ 9.3%-მდე, 0,4 პროცენტული პუნქტით) და ისრაელიდან (წლიურ 24.5%-მდე, 1.1 პროცენტული პუნქტით). ფულის შემოდინების შემცირება შესაძლოა განპირობებული იყოს საბაზო ეფექტით. 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა საქართველოში შემოსული რუსი მოქალაქეების ნაკადი, რომლებიც პირადი მიზნებისთვის რიცხავდნენ თანხებს. აღნიშნული მოვლენის გარდამავალი ეფექტის შემცირებასთან ერთად, საქართველო უბრუნდება ფულადი გზავნილების შემოდინების ჩვეულ დონეს. შედეგად, ფულად გზავნილებს მცირედი დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

**გაცვლითი კურსი.** თებერვალში ლარი აშშ დოლართან (0.8%-ით თვიურ ჭრილში), ევროსა (1%-ით თვიურ ჭრილში), თურქულ ლირასა (3.5%-ით თვიურ ჭრილში) და რუბლთან (3.5%-ით თვიურ ჭრილში) მიმართებით გამყარდა. ამასთან, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურ ჭრილში 1.9%-ით გამყარდა. REER-ის წლიური გამყარება ძირითადად რუსეთის მოქალაქეების შემოდინებამ გამოიწვია. ერთი მხრივ, ლარის გამყარება დადებითად აისახება ქართველ მოსახლეობაზე, იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულებისა და სესხების დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლის გამო (ბიზნესებს შემოსავალი და ვალდებულებები სხვადასხვა ვალუტაში აქვთ), მეორე მხრივ, სუსტდება კონკურენტუნარიანობა ექსპორტში. მთლიანობაში, REER-თან დაკავშირებულ ცვლადებს უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

**ფულის მასა.** თებერვალში ყველა მონეტარულმა აგრეგატმა, მათ შორის ბანკებს გარეთ არსებულმა ნაღდმა ფულმა (M0) და ფართო ფულმა (M3), საგრძნობი წლიური ზრდა განიცადა. მონეტარული აგრეგატები M2 და M3 წლიური 29.6% და 17.4%-ით გაიზარდა. ამავდროულად, მიმოქცევაში არსებული ვალუტა წლიური 16.7%-ით და ბანკის გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0) 24.1%-ით გაიზარდა. მთლიანობაში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, ფულის მასასთან დაკავშირებულ ცვლადებს საგრძნობი დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

**ინფლაცია.** თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდა 0.3%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქონლის ფასების სტაბილურობა ხელს უწყობს ინფლაციური ზეწოლის შემსუბუქებას. მოსალოდნელია, რომ ინფლაციის მაჩვენებელი



ეტაპობრივად გაუტოლდება სამიზნე მაჩვენებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ **საწვავის ფასები (ევრო ბრენტის ფასი (COP)) წლიური 1.1%-ით გაიზარდა**. მიუხედავად ამისა, მაღალია ინფლაციის ზრდის რისკი. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდა დადებითი მოვლენაა, შესაძლოა გამოიწვიოს მოთხოვნის არათანაზომიერი ზრდა მიწოდებასთან შედარებით, რაც ფასების ზრდას გამოიწვევს. *საერთო ჯამში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან (CPI) დაკავშირებულ ცვლადებს დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

*ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.*